### პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

### გადაწყვეტილება № 58

2017 წ. "22" 09

ქ.თბილისი

**სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №31 და სსიპ პროფესიულ კოლეჯ ''მოდუსისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 22 სექტემბრის №22 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეიცვალოს სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №31 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსს" (ს/კ: 216350829) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ელექტროობა | მესამე | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში | 52 | 67 | ქართული | 30 | ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4 |
| 2 | ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი | მესამე | ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 87 | | ქართული | 24 | ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4 |
| 3 | თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე | მესამე | თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 62 | 77 | ქართული | 30 | ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4 |
| 4 | ზეინკალ-სანტექნიკოსი | მესამე | ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 71 | 86 | ქართული | 30 | ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4 |

შეიცვალოს სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 22 სექტემბრის №22 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსს" (ს/კ: 216350829) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბუღალტერ-ტექნიკოსი | მესამე | ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 93 | | ქართული | 80 | ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4 |
| 2 | მღებავი | მესამე | მღებავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 65 | 80 | ქართული | 40 | ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4 |

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №9 სხდომის ოქმის მეთოთხმეტე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ანასტასია ქიტიაშვილი